№ 943 სამშაბათი, 19 ოქტომბერი 1896—1899 სამშაბათი, 19 ოქტომბერი № 943

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლი.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—დან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზია
ხელ-მოუწერელ წერილებს რე
დაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გაზეთი

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთი
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 2 მან.

კვირას, 24 ოქტომბერს,
პანაშვიდის შემდეგ დილის 11 საათზე მამადავითის ტაძრის გალავანში (მთაწმინდაზე)
აკურთხებენ ძეგლს
დიმიტრი ყიფიანის
სასაფლაოზე
რასაც საყოველთაოდ აუწყებს მისი ოჯახობა.

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს,
დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან
წარმოდგენილი იქნება: ახალი პიესა
ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით
ფული და ხარისხი
კომედ. 3 მოქ. თხზ. ქალბ. აზიანისა.
პირველი დებიუტი ანასტ. აბაშიძისა და ქალბ. აფხაზიშვილისა.
II
მეფე და პოეტი
ისტორიული სურათი 1 მოქ. თხზ. ბინვილისა, თარგ. ი. ქყონიასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე.
რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და ქ. მესხი.

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი
ქეფირი და კუმისი
ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.
მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხოლოდ ლ. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—89)
ლ. კორონა.

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობა აცხადებს, რომ დაცლილია
კაპკაპის
სკოლის მესამე მასწავლებლის ადგილი და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიმართოს გამგეობას. მასწავლებელს ჯამაგირი ექნება 480 მანეთი მხოლოდ იმ პირობით, რომ უსათუოდ გალობა იცოდეს და დასის შედგენა შეეძლოს.
(5—2)

იმერული სასადილო
იარმუკაზე, რუსის ქუჩაზე, ვანქის შენობაში მზადდება ყოველ დღე ახალის ხორაგისაგან.
გემრიელად მომზადებული იმერული სადილ-ვახშამი
კერძი ერთი შაურიდან აბაზამდე
სტაქანი ჩაი ტკბილი ორის ბუბლიკით ერთი შაური.
პატივისცემით კოსტა დანელია.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. თოფურია. საქირურგო თვალებ-ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გურრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟის თვისი
სამკურნალოს დირექტორი ს. გ. თოფურია
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ

# ახალი ამბავი

*** წლიური კრება ქართული დრამატიული საზოგადოებისა. 17 ამ თვეს უგანათლებულესის თავ. მ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით მოხდა ჩვენის ბანკის შენობაში წლიური კრება ქართული დრამატიული საზოგადოების წევრთა.

კრებამ დაამტკიცა წლიური ანგარიში, რომლიდანაცა სჩანს რომ წლის მთელი შემოსავალი ყოფილა 12,322 მ. 99 კ., მთელი ხარჯი კი 12,143 მ. 31 კ. ამ ფულში წარმოდგენებიდან შემოვიდა 9,756 მ. 97 კ., 1,000 მ. ჩვენი ბანკის შემოწირულებაა, დანარჩენი საქველ-მოქმედო შემოსავალია. უმთავრესი გასავალი ჰქონდათ თეატრის ქირა 3,168 მ. და მთელი ტრუპის შენახვა დაჯდა 3,047 მ. 91 კ. ამის შემდეგ დამტკიცებულ იქმნა სმეტა მომავლის წლის შემოსავლისა 11,293 მ. 65 კ. და გასავლისა 11,160 მანეთისა.

ამ დამტკიცების შემდეგ მოხსენებულ იქმნა კავკასიის მთავარ-მართებულის თავ. გ. ს. გოლიცინის 2,000 მ. შემოწირულებაზე. კრებამ დაადგინა: 1) არჩეულ იქნას კომისია, რომელმაც უნდა მადლობა გადაუხადოს ამ შემოწირულებისათვის თავ. გ. ს. გოლიცინს. კომისიაში არჩეულ იქმნენ უგან. თავ. მ. ა. გრუზინსკი, ვ. ა. სულხანიშვილი და ვ. ა. აბაშიძე. 2) ნება სთხოვონ გ. ს. გოლიცინს, რომ საპატიო წევრობა ჩვენის დრამატიულ კომიტეტისა იკისროს. და 3) დაარსებულ იქმნეს თავ. გ. ს. გოლიცინის სახელით ყოველ

წლიური პრემია დასასაჩუქრებლათ საუკეთესო პიესების ავტორებისა ამის შემდეგ ამორჩეულ იქმნა კომიტეტის საპატიო წევრად კნ. ნ. დ. ჩოლოყაშვილისა, რომელიც მუდამ წელს მართავს კომიტეტის სასარგებლოთ წარმოდგენებს.

დასასრულ მოხდა არჩევნები სარევიზიო კომისიისა. არჩეულ იქმნენ პ. ი. უმიკაშვილი, თ. გ. ნ. დიასამიძე და ს. ზ. მგალობლიშვილი. კრებამ გასტანა 12—3 საათამდის ნაშუადღევისას.

*** **უბედურება რკინის გზაზედ.** 15 ამ თვეს კინაღამ მგზავრთა მატარებელი არ დაიღუპა მთლით კავკასიის რკინის გზაზედ. მგზავრთა მატარებელი მიდიოდა ტფილისიდგან ბათუმისაკენ. მივიდა სადგურ მოლითში. სადგურ მარელისიდგან თურმე გამოსულა სხვა მატარებელი მოლითის სადგურის უფროსმა ი—მ აღარ დაუცადა ამ მატარებლის მოსვლას და გაისტუმრა მგზავრთა მატარებელი რომელმაც არ გაიარა ნახევარ ვერსი და მას დაეჯახა მომავალი მატარებელი, სამი ვაგონი მგზავრთა მატარებლისა დაიმტვრა და რამდენიმეც მეორე მატარებლისა. იღბალზედ სრული ღონისძიება იხმარეს და ოროვე მატარებლები დროზედ შეაჩერეს. არავინ მომკვდარა, მხოლოდ ოთხი ადამიანი დაშავებულია. ყველა გაკვირვებულია: ის ვაგონები რომლებიც სრულებით დაიმტვრენ მათში ისხდნენ ოთხმოცი ადამიანამდის და ასე მშვიდობით გადარჩნენ, რომ მხოლოთ მარტო ოთხი ადამიანი მსუბუქათ დაშავდა და იმედია მალე მორჩებიან ამ უბედურებამ მთელს გზაზედ მოძრაობა შეაჩერა ოთხ-ს საათით ხაშურში შეადგინეს ახალი მატარებელი, რომლითაც მგზავრები მშვიდობიანათ მიიყვანეს ბათომში.

17 ამ თვეს საღამოზედ მგზავრთა მატარებელი გამოვიდა სადგურ მცხეთიდგან; სულ არ გამოიარა ორი ვერსი, უცებ გააჩერეს მატარებელი. ხალხი შიშისაგან ბღლდა და დაიწყო ზოგმა ყვირილი, ზოგმა ტირილი და გადმოვიდა ძირს.

თურმე იმ ვაგონში, რომელშიაც განსაკუთრებით ქალები ისხდნენ, გატეხილა დიდის სიმძიმისაგან რესორები და ჰქვა დაუწყვია. იღბალზედ ეს ჰქვა მალე გაიგონა კონდუქტორმა, რომელმაც მაშინვე მატარებელი გააჩერებინა. რაც შეიძლებოდა ღონისძიება აღმოუჩინეს და ის ვაგონი დაცალეს ნაწილ. დაიძვრენ ავჭალისაკენ, სადაც მშვიდობით მხოლოდ დიდის შიშით ჩამოვიდნენ.

ვაგონები ძალიან გაჭედილი იყო ხალხით, რამდენიც იჯდა, უფრო მეტი ფეხზედ იდგა. არ ვიცი, რისთვის და ვისთვის ენანება რკინის გზის გამგეობას ვაგონები, რომლებიც ტყუილათა დგანან სხვა-და-სხვა სადგურებში. საკმარისი ვაგონები რომ ბმოდა, ხომ ამისთანა შიშს ვერა ნახავდა მგზავრი. წარმომიდგინეთ, მატარებელი გზაში შეჩერდა თუ არა, ვაგონში № 127 ში სამთლები სულ გაქრა. იქ ისხდნენ მომეტებულნი ქალები, რომლებმაც შიშით ველარაფერი გაიგეს. არ იცოდნენ: მატარებელი რად გაჩერდა და ან სანთლები რათ ჩაქრა. ეს გაჭედილი ვაგონი სიბნელით ჩამოვიდა დიდუბის ეკკლესიამდის და მხოლოთ მაშინ გაანათეს ბევრს ეხვეწნენ ამის თაობაზედ მატარებლის მოსამსახურეთ, მაგრამ გვიანღა იყო, როგორც იყო ტფილისში ჩამოვიდა მატარებელი ერთის საათის დაგვიანებით. ნუ თუ სანთელიც ველაო იშოვნა რკინის გზის გამგეობამ?..

*** კახეთის მევენახეების კრება დანიშნული 15 ამ თვისათვის, გადადებულ იქმნა, რადგან ძალიან ცოტა მემამულე დაესწრო.

*** ყაჩაღ მურსაკულოვის მოკვლა. ბორჩალოს მაზრიდან გვატყობინებენ, რომ განთქმული ყაჩაღი ალაი-ბეგ მურსაყულოვი, რომელიც შარშან სპარსეთში გაიქცა, მოუკლავს თავის ამხანაგს.

*** შუამდგომლობა. საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კომისიის განყოფილებამ სთხოვა გზათა სამინისტროს საზამთროდ რკინის გზებზე თბილი ვაგონების შემოღებაზე ღვინის გადასაზიდად. განყოფილება ამის შესახებ შუამდგომლობს ვისთანაც ჯერ არს.

*** დიდი შეწირულება. მისმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ 20 ათასი მ. შესწირა ამიერ-კავკასიის ოლგას ინსტიტუტს.

*** სამეურნეო მინისტრის განკარგულებით სატყეო დეპარტამენტმა 6000 მ. გადასდო კავკასიაში ხე-ტყის გასაზიდ ახალ გზების გასაყვანად.

*** ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ხაშურის სასოფლო საზოგადოების მცხოვრებთა განაჩენი, რომლის ძალითაც საზოგადოება კისრულობს ყოველ წლივ 250 მ. გარდახდას ზემო-ჭალის ნაწილის გასაგართოებლად.

*** თელავის სასწავლებლის შენობაზე. ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა თელავის ქალაქის მამასახლისს, რომ არ არის არავითარი დაბრკოლება ქალაქის კრების იმ დადგენილების საწინააღმდეგოდ, რომლის ძალითაც თელავის ქალაქის სასწავლებლებს საკუთარ შენობის ასაგებად ქალაქის ადგილი უნდა დაეთმოს.

*** **ზუგდიდი** გზის საქმე. ზუგდიდიდან დ. ანაკლიას გაუდის გზა ტკეცილი, რომლის მოფენას თუ შეკეთებას თვით ხაზინა კისრულობს. ყოველ მესამე წლობით გაიცემა ხოლმე ფოდრათით და ეს „ფოდრაჩიკები“ გზის რიგიან გაშლაშინებას არ დაგიდევენ ოღონდ თვითონ ისარგებლონ კი. ასე ამნაირად გაფუჭებული გზა არასოდეს არ შეკეთებულა რიგიანად. ეს გზა კი იმისთანა შეკეთებას თხოულობს, რომ მეტი არ შეიძლება, რადგანაც აუარებელი ეტლი (უფრო კი სიმინდით დატვირთული ურმები) ანაკლიაში მიმავალ-მომავალი ილაჯს უწყვეტს მას. ამ გზაზე ზამთრობით იმისთანა ტლაპო სდგება, განსაკუთრებით მდ. ჯუმის გაღმა, თქვენც არ მომიკვდეთ, ფეხიც ვერ დასძრათ მერანზედაც რომ იჯდეთ, ან რავა არ აჩნდეს, როცა გრავის მაგივრად მიწა-ნარევ სიპი ქვით მოყრილ-მოკენჭილია. მოგეხსენებათ უბრალო ქვა, ანუ ქუჩიდან კანავოში ვარდება ან სიმძიმისა გამო ქვეით მიდის და ზეით რჩება მიწა, მიწა, რასაკვირველია, იზილება და ცომად დგება და ცომი კი წუმპეს აყენებს. აი რისთვისაა რომ ჩვენი დილიჟანი ზამთრობით ძლივს დახოხორიკდება ს. დარჩენამდის (დარჩენი შუა ადგილია ზუგდიდს და ანაკლიასი) და ცუდი გზისა გამო არც კი მოსდის ჰკუაში ანაკლია არის მაინც დაინახოს.

წელს ხსენებული გზა გაცემულია მოიჯარადრეზე, მაგრამ წინანდელზე შედარებით ძლიერ მცირე საფასით, როგორი მოვლენაც უფრო გულს მიყუჩებს, ვაი თუ კვლავინდელზე უარესად იქნას შეკეთებული, ხომ დავიღუპებით კაკალი კაცი, მერე დაუსტვინეთ „ტოჩის“ თუ გინდ „გვაჩის“ სიარული მაგვარ გზაზე ყოვლად შეუძლებელი იქნება ნათქვამია ბატონო: „პური მეპურეს გამოაცხობინე და მეტი ფასი მიეცით“, ასეა ყველა საქმე... მაგრამ ვინ იცის (მე არ მგონია (?) დამერთმან ჰქნას უკეთესი გზა გაეფარდაგონ და მით დააკმაყოფილონ უდიდესი საჭიროება, აღებ-მიცემობის ძაფი ჩვენი ხალხისა.

— მედილიჟნეს თავგასულობა. სავალალოდ უნდა აღვნიშნოთ ანაკლიის მედილიჟანის თავხედობა: თუმცა იგი პირველ დაწყებისათანავე ისეთივე სავსებით ასრულებდა ხალხის მოთხოვნილებას, როგორი სავსებით დაუხვდნენ მას მაგრამ შემდეგში ხასიათი გამოიცვალა, ზესთა თუ არა ქვესკნელთა შთაგონებით შეიცვა, ჰო ის ელფერი მიიღო, რომელსაც ხუსტური ჰქვიან, ხუსტური ხომ მოგეხსენებათ მეტად საშიში ბუნების ნაწილია წინად თუ თავაზიანად ექცეოდა თავის პასაჟირებს, ეხლა ჩალად მთელი ხალხოსნობა და აჯილდოვებს მათ რიხიანი სიტყვა-პასუხით: აქმო, მალე შეოჯახქორო და სხვა და სხვა. თუ რამე გასატანი გაქვს არც კი შეგიჩერებს დილიჟანს და ბევრი ხნის სირბილით გათუთქული მიიღებთ მკვახე პასუხს: თუ ამდენი საქმე გქონდა წაბრძანებულიყავით თვითონ, მე სად მცალიან თქვენი სილკის გასაზიდ-გამოსაზიდად სად ცალიან „ბათუ“ (მედილიჟნეს სახელი) დიდი კაცია. პასილკას ვინ ჩივის პასაჟირი რომ არ ძულდეს: დახეთ ჩემს განცვიფრებას. როცა ჩემი თვალით დავინახე დილიჟანის უკანა მომრბინარე ყმაწვილი კაცი, რომელიც ემუდარებოდა ერთ მანუტში შეჩერებას კი მოხედა ღმერთმან და შეაჩერა, მაგრამ უცებ არ ვიცი სწორედ ხუსტურმის გავლენის ქვეშ ჩავარდა თუ არა ისევ გაჰქუსლა, დილიჟანი ცარიელი იყო დაუმწვილი კაცი დარცხვენილი ბარგიანად დარჩა. აი მიზანი რისთვისაა ჩვენ დილიჟანში ხალვათობა, ხანდისხან კი ხალვათობაზე ხალვათობა—ცარიელობა.

კალამდარა.

*** **ს. ნაგომარი** (გურია). ყაჩაღის მოკვლა. 13 ამ თვეს ჩოხატაურის ბოქაულმა ქელბაქიანმა, რომელიც მიემგზავრებოდა ოზურგეთში შემთხვევით გაიგო რა, რომ ნაგომრის სოფელში იმყოფება გარდავარდნილი ყაჩაღი ივანე კალანდაძე, რომელსაც ჰბრალდება ველენჯიხის ზავოდის აგენტის გაცარცვა, ჩორნომორსკის გუბერნიაში, დაეცა თავს ამ ყაჩაღს ერთი მამასახლისით და ოთხი სოფლის კაცით. ყაჩაღი არ დანებდა ბოქაულს და მოუნდომა მას, ბოქაულს, სიკვდილი და კიდევაც ესროლა ატყდა სროლა, რომლის დროსაც ბოქაულს მოუკლა ყაჩაღმა ერთი კაცი ფილიპე მიქაშავიძე, მაგრამ ბოქაულმა აღარც ამ ყაჩაღს დააყარა ხეირი და ისიც მოკლა ორი საათის დევნის განმავლობაში. აზ. კაპიტონ ასათიანი.

*** **ს. ბია** (სამეგრელო). აქაური რამ-რუმე სოფელი ბია მდებარეობს ზუგდიდის მაზრაში. აქ ითვლება ორასამდე კომლი მოსახლეები; რომ კარგათ დაუკვირდეს კაცი, სწორედ აქაური ჰაერი შესამჩნევია და მართლა ...

ავაღმყოფს ნაკლებ შეხვდებით დაავლეთ მხრით ამ სოფელს უვლის ჯინარე „ხობის წყალი", მდინარის ნაპირებში მდებარეობს სახ...ი ჭალა, სადაც მოსავალი სი...დი მოდის კარგი. ხობის წყალი ხშირად მატულობს ავდრების გამო, წყალი ნაპირებში გადმოდის, და ძრიელ ზარალს აძლევს მიწების მეპატრონეებს; ეს კიდე არაფერია, უბედურება ისაა, რომ შემდეგ გადასვლისა ანძრევს წყალი ნაპირებს და მიწას შით იტანს, ასე ბევრი პირები გამოუთხოვებია თავის ძვირფას მამულისთვის. თუმც შეიძლება კაცმა სთქვას ეს სოფელი ორ ნაწილად გაიყოფება: „ზემო ბია" და „ქვემო ბია", ზემო ბია მთა ადგილია. სადაც მოსავალი ნაკლები მოდის, უწინ მართლა აქ ღვინო მოდიოდა, რომელსაც ეძახოდნენ „ჭვიტილურს". ადესა ჩვენში კარგათ მოდიოდა, მაგრამ არც იმან იხეირა აქ, როგორც სჩანს მიზეზი მისი ფილოქსერაა, რომელიც უჩნდება ვაზს ფესვებში. მთა „ოხვამფერდში" აშენებულია მთავარ-ანგელოზის ეკლესია მღვდელი შიოს დროებაში, ეკლესია ორ შტატიანია და მღვდლებიც ორნი არიან ჰ. იოსავა და ნ. სასანია, წირვა-ლოცვა კი მორიგობით აქვენ; ამ ეკლესიაში ჯარიანობა იციან სა...ი დღის განმავლობით აგვისტოში, ჯარიანობას იწყებენ მარიობას (15 აგვისტოს) პირველ კვირას და მართლა აქაური ჯარი ძრიელ სასიამოვნოა, ეკლესიაში მოიყრიან თავს ნასადილევს, არჩევენ თორმეტი უცოლ-შვილო ყმაწვილებს, რომლებს ეძახიან „მალანურს", ხოლო ექვსი ერთი პარტია და ექვსი მეორე, პირველ პარტიას უძახიან „სადადიანოს" და მეორეს „სამეფოს". არჩეული მალანურებმა აქ ეკლესიაში უნდა დარჩნენ იმ ღამეს არ უნდა ჭამონ და არც სვან, რადგან მეორე დღეს „კვაკვის" გადატანა იციან, (კვაკვი არის ჭოკი სიგრძით ორი საჟენი) მეორე დღე რაც ორშაბათია საღამო საათის მეხუთეზე პოლიციის ზედამხედველობით დააწყობენ ჯარს სიგძე ჩაზმით, მალანურებს ...ც და ათი ...ენის მანძილზე დააყენებენ ეკლესიის წინ, ორ კა... შემოაქვს კვაკვი, მალანურები დაინახამენ თუ არა კვაკვს, გამოირბენენ, რაც ძალა-ღონეა აქ არ დაზოგამენ და მოირბენენ კვაკვთან: აბა, ეხლა უნდა ვაჟკაცობა! ეძიებიან კვაკვს აი აქეთ, აი იქეთ და არის ერთი კივილი-კიჟინი, ვაიუაგლახი! შემდეგ, რა თქმა უნდა, რომელიმე პარტია გადაიტანს; წრეულს კი დადიანის პარტიამ გადაიტანა.

... ნ. სასანიას მეცადინეო-

ბით იქმნა ამ სოფელში მეორე ეკკლესია აშენებული „ქვემო ბიაში" სამი ვერსის მანძილზე მთავარ-ანგელოზის ეკკლესიისა, ჯერ-ჯერობით თუმცა არაა სრულიად დასრულებული. იმედია, თავის მეცადინეობას არ დაზოგამს მღვდელი და მით დააჯილდოებს ჩვენს სოფელს; როგორც ამ ეკკლესიაში აგრეთვე მთავარ-ანგელოზის ეკკლესიასთან 4—5 წელიწადია რაც სამრევლო სკოლა გახსნილი მღ. იოსავას მეცადინეობით რომელმაც დასთმო თავის ოჯახი სამრევლო სკოლისთვის, რის გამო დიდი მადლობის ღირსია მამა პროხორე. სასურველია ვისგანაც ჯერ არს შემწეობას აღმოუჩენდნენ მღვდელს და სკოლის შენობის აშენებას ხელ მოუმართავდნენ.

ბეგლარი ბიელი

## უხორცო საჭმელების მომზადება.

**ნაწილი მესამე**

შემდეგი *)

93 ნუშის ტორტი. ცომი მოამზადეთ, როგორც იყო ზემოთ ნათქვამი, მერე აიღეთ ერთი გირვანქა დარჩეული ტკბილი ნუში დანაყეთ, თან ცოტ-ცოტა წყალი მოაწკაპნაკეთ (დანამეთ) გადაიღეთ ჯამფილში, მიუმატეთ ერთი გირვანქა შაქრის ნაფხვენი, თვრამეტი მისხალი კარაქი, ნახევარი ლიმონის ქერქის ნაფხეკი ერთი კოვზი ფქვილი. ცამეტი კვერცხის გული თითო თითო ჩაამტვრიეთ და თან ურიეთ კარგათ, მოაქციეთ ფორმაში, ზემოდამ უსიროფოთ მოაწყეთ ქოლოსი ან კოწახურის მურაბა, ან სხვა მჟავე მურაბა. დანარჩენი ცომისა გარეშემო გაუკეთეთ არშია, რკალივით. ზემოდამ მოაყარეთ შაქრის ნაფხვენი და გამოაცხეთ ფეჩში, როდესაც მზათ იქმნება გამოიღეთ გააციეთ და ისე მიიტანეთ სუფრაზედ.

94 ვენური ტორტი. აიღეთ $^3/_4$ გირვანქა გამდნარი ერბო, დადგით ყინულზედ თან ურიეთ, შიგ ჩაამტვრიეთ თორმეტი კვერცხი, ოღონდ თითო თითო, თანაც განუწყვეტლივ ურიეთ, ცოტ-ცოტა ჩაუმატეთ ერთი გირვანქა შაქრის ნაფხვენი და შემდეგ ერთი გირვანქა ფქვილი ისიც ცოტ-ცოტა და თან ურიეთ, ამისთანა მომზადებული მასალა ჩაასხით რამდენიმე ქაღალდის ფორმებში და შემდგით ფეჩში გამოაცხეთ, როდესაც გამოიტანთ თითო გამომცხვარ ტორტზედ მოაწყეთ თითო რიგი მურაბა ან ჟელე, მერე ზემოდამ დადეთ მეორე ტორტი, იმასაც ცოტა მოასხით მურაბა, ესე გაიმეორეთ ვიდრე გათავდება ტორტი, ბოლოდროს ზემოდამ მოხატეთ მინანქრით და მურაბით და ისე მიიტანეთ სუფრაზედ გაციებული.

95. ფხვნილი ტორტი. აიღეთ ნახევარი გირვანქა ერბო, ერთი გირვანქა ფქვილი, ერთი კოვზი რომი, ერთი კვერცხი, ერთი კოვზი ნაღები, ნახევარი ჭიქა შაქრის ფხვნილი, ნახევარი ლიმონის ქერქის ნაფხეკი, ესენი სულ ერთად კარგათ მოზილეთ ცომში, მერე გადაიღეთ ტაფაზედ, გარეშემო გაუკეთეთ ცომის არშია, ზემოდამ წაუსვით კვერცხის გული, შემდგით ფეჩში გამოაცხეთ, როდესაც გამოცხვება ზემოდამ მოაწყეთ მურაბა ან მოასხით გათქვეფილი ნაღები.

96. ბისკვიტი. აიღეთ თორმეტი კვერცხის გული, ერთი ჭიქა შაქრის გოგლი-მოგლი ორი ლიმონის ქერქის ნაფხეკი, სამი მეოთხედი ჭიქა კართოფილის ფქვილი, ნახევარი ჭიქა ხორბლის ფქვილი, ეს მასალა სულ ერთმანეთში აურიეთ, გაურიეთ თორმეტი კვერცხის გათქვეფილი ცილა, გადაიღეთ ქაღალდის ფორმაში, შედგით ფეჩში შეწვით, როდესაც მზათ იქნება გამოიღეთ გააციეთ, ზემოდამ მოაყარეთ მურაბა და ისე მიიტანეთ სუფრაზედ.

პაროჟნები.

97. პიროჟნი მურაბით. აიღეთ ნახევარი გირვანქა უმარილო ერბო დიდხანს გათქვიფეთ, შიგ ჩააყარეთ $^1/_4$ გირვანქა შაქრის ნაფხვენი, მიუმატეთ ოთხი კვერცხი და $^3/_4$ გირვანქა ფქვილი, ერთმანეთში თქვიფეთ ერთმაეეთში ერთ საათამდისინ აიღეთ მაღალი ფორმები შიგ ჩადეთ მომზადებული მასალა, ზემოდამ ჩადეთ მურაბა, მურაბას ზემოდამაც დააფარეთ მომზადებული ცომისავე ხუფი, შედგით ფეჩში გამოაცხეთ, როდესაც გამოცხვება გამოიღეთ გააციეთ და ისე მიიტანეთ სუფრაზედ.

98. პიროჟნი ნუშისა. აიღეთ $^1/_4$ გირვანქა ნუში დაამდუღრეთ ხცელ წყალში, გაფცქვენით დანაყეთ, გაურიეთ ერთი კვერცხის ცილა, $^3/_4$ გირვანქა ფქვილი და სამი კვერცხის გული, ეს მასალა კარგათ აურიეთ ერთმანეთში, გაათხელეთ თან საფანელათ უყავით ფქვილი გათხელებული ცომი დასჭერით რა ფორმისაც გნებავდეთ წაუსვით კვერცხი და გამოაცხეთ, როდესაც გამოცხვება, გამოიტანეთ გააციეთ და ისე მიიტანეთ სუფრაზედ.

ნატალია დარეჯანაშვილისა.
(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ცნობ. ფურცლ." № ...

## ყურმოკრული საუბარი

—

... მაინი ხარ! ეს ერთი თვეა რაც გათხოვდი და ეხლა ვასთსთან ხელ-ახლად არშიყობა დაიწყე.

— მერე შენ რა იცი?

— როგორ რა ვიცი; ესეც ვიცი, რომ შენ წერილებსაც სწერ, თურმე, ვასოს.

— გამოგიტყდები, რომ ვწერ,— მაგრამ იცი რათა? მე ძლიერ მომწონს ჩემი ქმრის გვარი და მინდა რომ მუდმივ ვწერდე ხოლმე ჩემს ახალს გვარს.

## რჩეული აზრები

—

✦ არ გეშინიან საქვეყნოდ გაკეთებული და შეძენილი სარჩოს ჭამა, მხოლოდ შიშსა ჰგრძნობ მაშინ, როცა სხვის შეძენილს ნაამაგდარ სარჩოს მოახელებ და შესჭამ.

✦ კაცს სიმდიდრეზედ ნუ მოიწონებ და სიღარიბეზედ ნუ დაიწუნებ.

✦ შინაურულად დაძმობილებულ ამხანაგობას ერთი ერთმანეთისაგან შეურაცხყოფილ დაძმობილებული ამხანაგობა სჯობიან.

✦ შენს მოძმეს ისეთს სიტყვას ნუ ეტყვი, რომ ენამ წუხილი დაიწყოს!!

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან").

**ლონდონი.** დაჭრილ ბურებს უვლის ლედი-სმიტში სამი ექიმი ბური, რომელნიც მოვიდნენ აქ 11 ოქტომბერს და მადლობა გარდაუხადეს ინგლისის მთავრობი კაცთ დაჭრილების მოსავლელად მიღებულ ღონისძიებისათვის.

**პარიზი.** ლორენცო-მარკეზიდგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ დატყვევებული ჯარი მე-18 გუსარის პოლკისა პრეტორიაში მიიყვანესო. მეორე დეპეშის სიტყვით, ლედი-სმიტიდგან, ბოერები ამ ქალაქის წინ დაბანაკებული და საომრად მზად არიან. ინგლისელებს ჰყავთ 8000 კაცი და 40 ზარბაზანი. ტრანსვაალელების ჯარი უდრის 10,000 კაცს და 8 ზარბაზანი აქვთ. ორანჟეს რესპუბლიკის ჯარი 9000 კაცისაგან შესდგება; რამდენი ზარბაზანი აქვთ, ცნობილი რა არის.

**ლედი სმიტი** 11 ოქტომბერს აქ მოვიდა ძლიერი მაშველი ჯარი, რომელიც შესდგება ქვეითა ჯარისა და არტილერიისაგან. ტრანსვაალელი ბურები ხელ-ახლა დაბანაკდნენ ელანდსლააგტეს ქვემოთ; ორანჟეს ბურები სდგანან ბესტერსთან.

**კაპშტადტი.** 14 ოქტომბერს როდედ-რიფტის ქვემოთ, ტუღის მახლობლად, როდესაც ბრძოლა ...

პლუმერის ჯარის შორის. ბურებს მოუკლ... ოთხი კაცი და იმდენივე ... წაიყვანეს.

**დურბანი.** 11 ოქტომბერი. აქაური განყოფილება ტრანსვაალის ეროვნულ ბანკისა დაჭერილ იქმნა სამხედრო გემის ჯარის მიერ. მთელს ნატალში სამხედრო დროის წეს-რიგი იქმნა გამოცხადებული.

**პარიზი.** „Journal“-ი ამბობს, რომ ლაპარაკია იმის შესახებო, რომ სამი კრეისერი გაიგზავნოს სამხრეთ აფრიკის ნაპირებისაკენო. „Matin“-ის ნაუწყები ამბავი, რომ ლაპარაკი არის ფლოტი გაიგზავნოს აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირებისაკენო, მართალი არ არის. ზღვათა მინისტრი მარტო ერთს გემს გაგზავნის.

**კიმბერლეი.** 12 ოქტომბერი. ბრიტანიის რაზმი, რომელიც 270 კაცისაგან შესდგებოდა, დღეს, დილით ადრე, ქალაქიდგან გამოვიდა და ქალაქის მახლობლად ბურების ჯარს შეხვდა და ბრძოლა აუტეხეს ერთმანეთს. ამ რაზმის საშველად მივიდა შემდეგ ორი საომარი მატარებელი ოთხი ზარბაზნით. ერთი ზარბაზანი დაუშინეს მტერს, რომელიც კარგს ადგილას ვერ იყო გამაგრებული. ბურების არტილერიამ პასუხი გასცა. ბრძოლამ რამდენიმე საათს გასტანა. ინგლისელების მხრით სამი კაცი მოკვდა და 21 დაიჭრა. ბურების მხრით მრავალი დაიხოცა, იმათ რიცხვში მაიორი ბოტა.

**ბარცელონა.** პროვინციაში ომიანობის დროის წეს რიგია გამოცხადებული. ბეჭდვითი სიტყვას ცენზურა დაედო.


# გამოცხადებანი

ექიმი
## გ. ს. გენცენფილდი
ეხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან.

არჩენს ავადმყოფებს ვენერიულის (სიფილისი) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტკივილებისაგან (ელექტრონით).

ავადმყოფთ ყოველ დღე დებულობს დილის 9—11 საათამდე და საღმოს 6—9 საათამდე.

კუკიაში მადერის ქუჩა № 5.

დაიბეჭდა და გაისყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში.

თხზულებანი
## ა. ს. პუშკინისა
ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით

ფასი 50 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იმერული
## სცენები
შეკრებილი ძ. მესხის მიერ

ფასი 5 კაპ.

ვინც „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან გამოიწერს ერთბაშად 25 ცალს, იმას ერთ მანათად დაეთმობა. (12—12)

გამოვიდა და ისყიდება ცნობილის და საფრანგეთის საყვარელ პოეტის ბერანჟეს თხზულება.

## „ბერანჟე“
ქართულად

გ. გვაზავას თარგმანი.

ფასი 40 კაპ.

წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის; გამოცემული შეიცავს 4 საუკეთესო ლექს და 0ს ავტორის სურათს.

ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, 20% დაეთმობა „ცნობ. ფურც.“ ხელის მომწერთ წიგნი გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის მარკით. (10—10)

## „ბუნების კარი“
(ახალი შევსებული გამოცემა)

დაიბეჭდა მეათედ (50,000) და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. ეს გამოცემა შევსებულია ... თექვსმეტი გვერდით უფრო დიდი წინანდელს გამოცემაზედ. ფასი კი დაკლებულია. წინად ღირდა 90 კაპ. ახლა ღირს ყდიანად 80 კაპ. ანუ ოთხი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ ათზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 70 კაპ., ხოლო ვინც ოცზედ ნაკლებს არ წაიღებს, იმას წიგნი მიეცემა 64 კაპ. (6—4)

## КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,
состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи двойкой итальянской** по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеніи**

### Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-го числа каждаго мѣсяца.

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеромъ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) ... операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.** (100—87)

მიაქციეთ ყურადღება ამ მართლაც და საყურადღებო განცხადებას!

ყველასათვის საინტერესოა, ხოლო განსაკუთრებით

### პროვინციელ ქალებისა და ვაჟებისათვის

| | | |
|---|---|---|
| **100** | სადარბაზო ბარათი (Визитныя карточки) | სახელის და გვარის დაბეჭდვით |
| **100** | ფოსტის ქაღალდი (Почтовыя бумаги) | |
| **100** | მათივე კონვერტი (Почтов. конверты) | |

(ვინაც უნდა წოდებაც და ადრესიც იბეჭდება)

ყოველივე ზემოდ მოხსენებული გაეგზავნება იმას

ვინც გამოგზავნის მხოლოდ




ვინც მოისურვებს, რომ ფოსტის ქაღალდზე ან სადარბაზო ბარათზე მათი სურათიც იყოს აღბეჭდილი, იგი ზემოხსენებული 3 მან. გარდა, კიდევ 3 მან უმატებს.




მსურველნი მიმართავენ: ტფილისში ვ. გუნიას სტამბას.

Тифлисъ, Дворцовая ул. Типографія В. Гуніа.